ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №185

19 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავში, გოგი დოლიძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გოგი დოლიძის ქუჩის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2018 წლის 03 ოქტომბრის N01/3427 (შემოსული დოკუმენტის N10267/02 03.10.2018წ) გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ რუსთავში, **გოგი დოლიძის** ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს **გოგი დოლიძის I გასასვლელის** სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. განკარგულება ინფორმაციისთვის გადაეგზავნოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისია.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან–ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

Rustavi City Municipality

Digitally signed by Rustavi City Municipality
Date: 2018.10.23 18:23:19 +04'00'